



სს „სილქნეტის“ აბონენტის დროებით სარგებლობაში ან საკუთრებაში გადაცემული ტექნიკური საშუალებების დაბრუნებისა და შეცვლის წესი

1. სააბონენტო ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევებში მომსახურების/ხელშეკრულების შეწყვეტისას (გარდა აბონენტის ინიციატივით მომსახურების მიღების/ხელშეკრულების შეწყვეტისა), აბონენტი ვალდებულია დაუბრუნოს კომპანიას მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული ტექნიკური საშუალებები - მომსახურების/ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღამდე. აბონენტის ინიციატივით მომსახურების მიღების/ხელშეკრულების შეწყვეტისას აბონენტი ვალდებულია დაუბრუნოს კომპანიას მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული ტექნიკური საშუალებები ხელშეკრულების შეწყვეტისთანავე.
2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ტექნიკური საშუალებების დაუბრუნებლობა ან მათი გაუმართავ მდგომარეობაში დაბრუნება ჩაითვლება ტექნიკური საშუალებების აბონენტის მიერ შესყიდვად, რისთვისაც მას დაუყოვნებლივ - 1-ლი პუნქტით განსაზღვრული ვადების ამოწურვისთანავე დაერიცხება და გადასახდელი ექნება ტექნიკური საშუალების დარიცხვის მომენტისთვის არსებული შესაბამისი სარეალიზაციო ღირებულება, რომელიც გადახდით უნდა იქნას თანხის დარიცხვიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა. დარიცხული ღირებულების გადახდის შემთხვევაში, მაგრამ დარიცხვიდან არა უმეტეს 1 (ერთი) წლის განმავლობაში, აბონენტის/პირის მიერ კომპანიის ტექნიკური საშუალებების დაბრუნების შემთხვევაში, დარიცხული ტექნიკური საშუალების სარეალიზაციო ღირებულება აბონენტს უბრუნდება უკან, ხოლო დარიცხული ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, მაგრამ დარიცხვიდან არა უმეტეს 1 (ერთი) წლის განმავლობაში, აბონენტის/პირის მიერ კომპანიის ტექნიკური საშუალებების დაბრუნების შემთხვევაში, დარიცხვა უქმდება.
3. VIP სააბონენტო ნომრით სატელეფონო მომსახურების მიმღებ პირთან სააბონენტო ხელშეკრულების შეწყვეტის ან სატელეფონო მომსახურების გაუქმების შემთხვევაში, იმავე VIP ნომრით სატელეფონო მომსახურების ხელახალი აქტივაციის სურვილის ან ახალი სააბონენტო ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია, გარდა დავალიანებისა და ინსტალაციის საფასურის (ასეთის არსებობისას) გადახდისა, გადაიხადოს VIP ნომრით მომსახურების მიწოდების განახლების მომენტისთვის მოცემულ სააბონენტო ნომერზე კომპანიის მიერ დადგენილი შესაბამისი საფასური (ფასები იხ. კომპანიის ვებ-გვერდზე).
4. აბონენტის ინიციატივით ოპტიკური ორმაგი, სამმაგი, ოთხმაგი, ოპტიკური S1 ორმაგი და ოპტიკური S1 სამმაგი შეთავაზების დაშლისას (შემცირებისას) WIFI მოდემი არ ექვემდებარება დაბრუნებას იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი იტოვებს შეთავაზებაში შემავალ ოპტიკური ტექნოლოგიით მიწოდებულ ერთ-ერთ მომსახურებას.
5. აბონენტის ინიციატივით DSL სამმაგი და DSL ოთხმაგი შეთავაზების დაშლა (შემცირება) შესაძლებელია DSL სამმაგი და DSL ოთხმაგი შეთავაზების ფარგლებში მიწოდებული DSL სილქ ინტერნეტის და DSL სილქ ტვ-ს ერთდოულად გაუქმების პირობით. ამ შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია დააბრუნოს DSL WIFI მოდემი და STB მოწყობილობა.
6. SILK LTE 4G ინტერნეტ მომსახურებისას LTE უსადენო მოდემის დაზიანების შემთხვევაში, თუ მოდემი აბონენტს გადაცემული ჰქონდა საკუთრებაში, მოდემის შეცლა შესაძლებელია უშუალოდ რეგისტრირებული აბონენტის ან სათანადო წესით დამოწმებული რწმუნებულების საფუძველზე უფლებამოსილი მესამე პირის მიერ, კომპანიის ტექნიკურ სერვის ცენტრში დაზიანებული მოდემის მიტანით, რა დროსაც, აბონენტს, შესაბამისი სააბონენტო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, ახალი LTE უსადენო მოდემი გადაეცემა დროებით სარგებლობაში.